თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 26 დეკემბრის
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 20

ქ. თერჯოლა 26 დეკემბერი 2024 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ბადრი ბუცხრიკიძე, 10. ჯემალ ისაკაძე, 11. ელისო მურადაშვილი, 12. მანუჩარ ფანჩულიძე, 13. შალვა ჭანკვეტაძე, 14. გრიგოლ გიორგაძე, 15. გოჩა ვერულაშვილი, 16. დავით გოგბერაშვილი, 17. ლაშა გურგენიძე, 18. ომარი ჯიხვაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კახა ბუცხრიკიძე, 2. რამინი რობაქიძე, 3. თამარ ახვლედიანი, 4. ფრიდონი გვენეტაძე, 5. დავით ცხადაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7. კობა კირკიტაძე, 8. მერაბი ბასილაძე, 9. ტარიელ ფანჩულიძე, 10. რუსუდან კოვზირიძე, 11. როლანდი მესხი, 12. ივანე ჩუბინიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 18 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ⁴⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-28243611 წერილი, 26.12.2024 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების(გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელაბასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ” თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ’’თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240109 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282436080 წერილი, 25.12.2024 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

4. ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ’’ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240104 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282436080 წერილი, 25.12.2024 წ).

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ, საშემოსავლო ნაწილის ცვლილებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 1018.8 ათასი ლარით და შეადგენს 35980.0 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 2349,5 ათასი ლარით (გრანტი რგფ პროექტების დაფინანსება გაიზარდა 1119.5 ათასი ლარით. გრანტი ფინანსური დახმარება გაიზარდა 1050.0 ათასი ლარით. ქონების დასასახადი გაიზარდა 180.0 ათასი ლარით).

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 1330.7 ათასი ლარით (გრანტი სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება შემცირდა 73.6 ათასი ლარით. სხვა შემოსავლები შემცირდა 1077.1 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივები შემცირდა 180.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 349.5 ათასი ლარით. მ/შორის:

მერიის დაფინანსება შემცირდა 59.2 ათასი ლარით.

გზების მშენებლობა რეკონსტრუქცია და მოლა შენახვის ხარჯი შემცირდა 91.1 ათასი ლარით.

წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია შემცირდა 11.2 ათასი ლარით.

გარე განათება შემცირდა 7.4 ათასი ლარით.

საბინაო კომუნალური მეურნეობის ხარჯი შემცირდა 45.4 ათასი ლარით.

სოფლებში განსახორციელებელი პროექტები შემცირდა 31.0 ათასი ლარით.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა დასაპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება შემცირდა 30.7 ათასი ლარით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება შემცირდა 73.5 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1368.4 ათასი ლარით. მ/შორის:

საკრებულოს დაფინანსება გაიზარდა 6.2 ათასი ლარით.

მერიის დაფინანსება გაიზარდა 55.0 ათასი ლარით.

გზების მშენებლობა რეკონსტრუქცია და მოლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 1119.5 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის დაფინანსება გაიზარდა 7.3 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 75.0 ათასი ლარით.

სკოლისგარეშე განათლების დაფინანსება გაიზარდა 11.9 ათასი ლარით.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 12.3 ათასი ლარით.

სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 22.2 ათასი ლარით.

სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.

სახელოვნებო სკოლების დაფინანსება გაიზარდა 11.0 ათასი ლარით.

ბიბლიოთეკების დაფინანსება გაიზარდა 8.0 ათასი ლარით.

კულტურის სახლის დაფინანსება გაიზარდა 16.0 ათასი ლარით.

მუზეუმების გაიზარდა 1.0 ათასი ლარით.

ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 12.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვის დაფინანსება გაიზარდა 1.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №23 16.12.2024).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიული საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძიემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელაბასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ” თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს .,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა)საქმიანობის განხორციელაბასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ” თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი(დადგენილება №24, 16.12.2024).

3.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240109 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის ბიუჯეტია 107 100 ლარი სარგებლობს 31 ბენეფიციარი, პროგრამას ემატება ერთი ბენეფიციარი ამიტომ საჭიროა პროგრამის 300 ლარით გაზრდა და გახდება 107 400 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს .,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240109 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი(განკარგულება №29. 29243612, 26/12/2024.).

4.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო .,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240104 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის ბიუჯეტის გაზრდის ხარჯზე მცირდება უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი 300 ლარით და გახდება 58 400 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240104 განკარგულებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №29.2924361001, 26.12.2024).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის დაფინანსების 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240105 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება N 29.29243395, 04.12.2024).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი